

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01- 11/73

ქ.ბათუმი

27 ოქტომბერი, 2015 წელი

ბსუ-ს ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ლექციების წასაკითხად, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელებად (თანახელმძღვანელებად) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა პერსონალის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული პირების შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატში ლექციების წასაკითხად მოწვეული ბსუ-ს ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების (მასწავლებელი- დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, უფროსი მასწავლებელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
  - პროფესორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/ემერიტუსი - 16 (თექვსმეტი) ლარი;
  - ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 15 (თხუთმეტი) ლარი;
  - დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (უფროსი მასწავლებელი) / მეცნიერ-თანამშრომელი - 14 (თოთხმეტი) ლარი;
  - ასისტენტი/დოქტორის ხარისხის არმქონე მოწვეული სპეციალისტი (მასწავლებელი) - 13 (ცამეტი) ლარი.
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ლექციების წასაკითხად მოწვეული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების პერსონალის ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
  - პროფესორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/ემერიტუსი - 16 (თექვსმეტი) ლარი;
  - ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 15 (თხუთმეტი) ლარი;
  - დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (უფროსი მასწავლებელი) - 14 (თოთხმეტი) ლარი;

3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელებად/თანახელმძღვანელებად ბსუ-ს აკადემიური პერსონალის და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული პერსონალის მიერ ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

**3.1 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა:**

- ა) პროფესორი/მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - 16 (თექვსმეტი) ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი/მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი - 15 (თხუთმეტი) ლარი;
- გ) დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო თანამდებობის პირი - 14 (თოთხმეტი) ლარი;

**3.2 დოქტორანტის ხელმძღვანელობა:**

პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო თანამდებობის პირი - 17 (ჩვიდმეტი) ლარი.

- 4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის აუცილებლობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანებით დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებული ტარიფი.
- 5. 2015-2016 სასწავლის წლის დასაწყისიდან (2015 წლის 28 სექტემბერი) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბსუ-ს ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ლექციების წასაკითხად, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელებად (თანახელმძღვანელებად) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული პირების შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 15 ოქტომბრის N01-11/75 ბრძანება.
- 6. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
- 7. ბრძანება ძალაშია 2015-2016 სასწავლო წლიდან (2015 წლის 28 სექტემბრიდან).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



ჯემალ ანანიძე